მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან.

სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირის ასისტენტები, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები (4 სსსმ მოსწავლე). სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები;

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს** - სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული.

   სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულება;

***4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** - სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი. სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, ვინ უწევს მომსახურების შემოწმებას;
2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას** - აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას;
3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს** - აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია ავტორიზაციის ექსპერტებმა განიხილეს თითოეული საგნის ჭრილში, ამ განხილვისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და პრიორიტეტებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით. კერძოდ, დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომელთაც კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება, კურიკულუმის განვითარების ეტაპები. კონკრეტულად კი ის შემდეგ საკითხებს მიმოიხილავს:

- სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები.
- პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი.
- კურიკულუმის განვითარების ეტაპები.
- კურიკულუმის რევიზია.
- კურიკულუმის შემუშავება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სასკოლო კურიკულუმის დანერგვა.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგი კი დირექტორის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული. დოკუმენტში გაწერილი არის პედაგოგების, კათედრის თავმჯდომარეების, სკოლის დირექტორის ფუნქციები კურიკულუმის დანერგვის პროცესში.

მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მიმდინარე / წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულება გულისხმობს კონკრეტულ საკითხებს, რომელთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნოს წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ასევე რეკომენდაციების პაკეტს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებული არის შემდეგი საკითხები: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის ინტერპრეტირება, დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და სკოლის პრიორიტეტებთან, შუალედურ სასწავლო მიზნებზე ორიენტირება, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნება გამოყენებული გასული წლის განმავლობაში და ა. შ.

**გარდა ამისა,** პრაქტიკული თვალსაზრისით, სკოლა 2020-2021სასწ. წლიდან ჩართულია პროექტ „ახალი სკოლის მოდელში. ამ პროექტის ფარგლებში გაიარეს საგნობრივი ტრენინგები, განიხილეს მესამე თაობის ესგ, შეიმუშავეს კურიკულუმები. მიღებული ცოდნა გაუზიარეს ერთმანეთს, გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, შექმნეს თემატური მატრიცები. საგნის კურიულუმიის შედგენისას პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო/თემატური გეგმებით, მასში ასახული საგნობრივი საკითხების, თემების, ძირითადი და დამატებით რესურსების, შეფასების ინსტრუმენტების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ინტერვიების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ თითოეული საგნისს კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ინტერესები, კონკრეტულად კი ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/ მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რამდენად არიან მოსწავლეები ჩართულნი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები, პრაქტიკა უწყობდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესებში და ა. შ

მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს და გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, სასკოლო კურიკულუმი , რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან , რა ფაქტორები უწყობდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას და ა. შ.

კათედრები: რა ფაქტორები, პრაქტიკა უწყობდ/უშლიდა ხელს სკოლის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციების განვითარების პროცესში

სკოლის დირექცია: რა ფაქტორები, პრაქტიკა უწყობდა / უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირებას სკოლაში მიიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან და ა. შ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის პრაქტიკაში გამოყენება, დაადასტურა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ, კერძოდ, ინტერვიუს დროს მსჯელობისას მასწავლებლებმა გაამყარეს პოზიცია, რომ მათ 2023-2024 სასწავლო წლის საგნოობრივი კურიკულუმები აქვთ შედგენილი წინა სასწავლო წლების კურიკულუმის დაკვირვების და გამოცდილების შედეგად (მაგალითად, დაწყებით საფეხურზე, ქართულ ენაში, ჩატარებული ტესტირებები საჭიროებების დასადგენად, კერძოდ, მეხუთე კლასში დიაგნოსტიკური ტესტირება, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბების). სადაც ნათლად არის ასახული სასკოლო საზოგადოების , რომლებიც წინა წლების გამოცდილებამ დაადასტურა. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია დოკუმენტის შემუშავების პრინციპები,** საიდანაც ჩანს რომ ფუნქციები, პასუხისმგებლობები განაწილებული არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები.

**პირველ ეტაპზე ხდება კონცეპტუალური ჩარჩოს განხილვა:** გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება და ა. შ . შემდეგ კი მსჯელობის ეტაპი არის კურიკულუმის დიზაინზე შეთანხმება, სადაც დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათ მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. აღნიშნული პროცესები ნაწილობრივ ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთ კი დირექტორის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული.

**სასკოლო საზოგადოების წევრების როლი გამოკვეთილია:**

**პედაგოგმა** გარდა იმისა, რომ უნდა ჩაატაროს გაკვეთილები, ვალდებული არის კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო კათედრის წევრებთან ერთად პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სხვ.

**კათედრის თავმჯდომარემ** უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმი დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად , ინოვაციების დასანერგად, მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და სხვ.

**სკოლის დირექციამ** ფასილიტაცია უნდა გაუწიოს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და გამოყენებაზე, კათედრის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება. დოკუმენტში განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები.

<u>მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების, განსაკუთრებით მშობლების, ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.</u>
ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებული არის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული არის

პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მიზნობრივი ჯგუფები ( პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ).
გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისსას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა მშობელებთან შეხვედრები, სადაც მშობლები იღებენ უფრო დეტალურ ინფორმაციას საკუთარი შვილების კურიკულუმებზე მუშაობის შესახებ, კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით, შეფასების კრიტერიუმებზე, შესრულების ვადებზე და მიმდინარე პროცესების შესახებ, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. კონკერტულად კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ.
სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტტა ჯგუფს სკოლის ჰოლშიგამოკრული დახვდა სასკოლო სასწავლო გეგმაა, შინაგანაწესი და ა.შ. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები:
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველ MCA Georgia-ს პროექტის ფარგლებში შეძენილი ლაბორატორიიის აღწერის დოკუმენტი( საბუნებისმეტყველო მიმართულება);
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის,სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლისსსიპ თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დიაგნოსტიკური ტექსტი - „გამარჯვებული სიტყვა“

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

;

სკოლის, კერძოდ კი კათედრებბის მიერ შედგგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. სწავლებისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე (ეროვნულ სასწავლო გეგმაში წამოდგენილი სამიზნე ცნებების სახით).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლების შესრულებასაც მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობებზე არის გათვლილი. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ახალისებენ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას და ცდილობენ დააფიქრონ მოსწავლე რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სამუშაოს წარმატებით შესრულებაში დაეხმარა და რა ფაქტორებს შეეძლო რომ ხელი შეეშალა შედეგზე გასვლაში.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილ მტკიცებულებებში. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს წარმოდგენს გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ემსახურება. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

მასწავლებლებს მიეცათ **რჩევა**, კერძოდ, სპორტის მიმართულებით: 1. ექვსივე კლასის კურიკულუმებში თემები „მძლეოსნობა" და „ტანვარჯიში" შეიცვალოს თემებით „მძლეოსნობის ელემენტები" და „ტანვარჯიშის ელემენტები" (სტანდარტის მიხედვით); 2. დაემატოს თემა „მოძრავი თამაშები"; 3. მე-5 და მე-6 კლასებში თეორიულ ნაწილში დაემატოს თემა „მავნე ჩვევების პრევენცია"; 4. მე-5 და მე-6 კლასებში პრაქტიკულ ნაწილში დაემატოს სხვადასხვა გუნდური სპორტის შესწავლის ელემენტები (მაგ., კალათბურთის/ფრენბურთის/ფეხბურთის/ხელბურთის ელემენტები)

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმების, მატრიცის და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე არის ორიენტირებული.

წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმწბის ჩარჩოებში გაწერილი არის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი / საკითხთა კლასტერი, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც კლასტერიდან გამომდინარე კონკრეტულ მაგალითებზე არის აგებული. თითოეული თემის ფარგლებში შესაბამისი საგნობრივი სამიზნე ცნებები, მათგან გამომდინარე ქვეცნებები ასევე წარმოდგენილი არის კურიკულუმის ჩარჩოებში (მაგ. სამიზნე ცნება „საზოგადოება" , ხოლო ქვეცნება „საზოგადოებრივი ჯგუფი"," ოჯახი"; სამიზნე ცნება „მეურნეობა", ქვეცნება „მეცხოველეობა" და ა.შ.) წარმოდგენილ ცხრილებში მოცემული არის ასევე მაგალითები შედარებისათვის (მაგ. კლასტერზე „ქართლი და მისი მეზობელი მხარეები", კონტექსტმაგალითად მოყვანილი „წმინდა ნინოს შეხვედრა მწყემსებთან", ხოლო მაგალითი შედარებისთვის „შირაქის ველები", „ელდარის საძოვრები".) კურიკულუმებში მითითებული არის რესურსები ( ძირითადად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სახელმძღვანელო ). წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, მაგალითად მარშრუტის, კომიქსის, საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა და ა. შ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, შედარებისათვის მოყვანილი მაგალითები, ანალიტიკური კითხვები კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ რეფლექსიის გაკეთება საკუთარი სასწავლო პროცესის რეგულაციას და მიღწევის ღირებულებების განვითარებას უწყობს ხელს და ა. შ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზესაგნობრივი კომპეტენციების (მაკროცნებების) განვითარებას (მაგ. გაგება, შედარება, პასუხისმგებლობა...), იზრუნოს არა მხოლოდ მრავალფეროვანი უნარების გააქტიურებაზე და სრულყოფაზე.

გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება (ქართულის ენის მიმართულებით) და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ, ეს მოწმობს, რომ მათ აქვთ მზაობა და შესაძლებლობა გრძელვადიანი მიზნების მართებულად განსასაზღვრად. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

თითოეული საგნობრივი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების / სწავლის შედეგების გააზრების კონკტესტს. თითოეული თემა ითვალისწინებს მოსწაავლის ინტერესებს, მის გამმოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებილეულ სიტუაციებტან და ხელს უწყობს ფუქნციური უუნარებისსს განვითარებას.

თითოეული საგნის მიმართულებით შესწავლისას გარკვეულწილად ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, კერძოდ, ქართული ენის კათედრას სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვს ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, ასევე, სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში. ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონზე. მასწავლებელები იყენებენ თავიანთ გამოცდილებას ახალი კურიკულუმების განხორციელების დროს, რომელიც დამუშავების პროცესშია. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

შეფასების პროცესში სკოლა გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სკოლის მიერ მოწოდებული შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებას. წარმოდგენილი რუბრიკები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. შეფასებისას ითვალისწინებენ სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას გააჩნია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტ ტესტებსა თუ პრე ტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე, იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე. მასწავლებლებს უკვე აქვთ კომპლექსური დავალების შეფასების გამოცდილება ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

განმავითარებელი შეფასება არის ჰოლისტური ხასიათის, მოსწავლე მოიაზრებს როგორც პროცესის მთავარ მონაწილეს , ითვალისწინებს სტანდარტის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს მათზე დაყრდნობით განახორციელოს მოსწავლის მიმართ უკუკავშირი. წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იყო შემუშავებული .

გარდა ამისა, ქართულის კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების რუბრიკების მომზადების თვალსაზრისით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისა და მათი მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით. ხოლო , „ჩვენ საქართველოში“, რუბრიკები დაფუძნებული არის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტში მოცემულ თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე. აღნიშნულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, სამიზნე ცნებების ფარგლებში შემუშავებული არის შეფასების კრიტერიუმები, რომელთაც შეესაბამება ქულები. მსგავსი ტიპის შეფასების რუბრიკა საშუალებას იძლევა, რომ სწავლის შედეგები აღიწეროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პედაგოგებს აქვთ განმავითარებელი შეფასების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის მზაობა და გამოცდილება. მაგალითად წარმოდგენილია, სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკა, საგანში „მე და საზოგადოება", სადაც საგნის თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში აღწერილია ტაქსონომიის დონეები და ახსნილია საფეხურების შესაბამისობა საგნობრივ ცნებებთან. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ თემატურ მატრიცებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.

გარდა ამისა, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზში სკოლა აკეთებს თვითრეფლექსიას და წარმოაგდენს ინტერვენციების გზებს, სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები, ცხადყოფს რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოაგენს შუალედურ სასწავლო მიზანს. მაგალითად, სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმებიდან ცხადი ხდება, რომ პედაგოგები კათედრაზე ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მაგალითად კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით, და ზრუნავენ მათ პრაქტიკაში დანერგვაზე; ქართული ენისა მათემმატიკის მიმართულებით - დაწყებით საფეხურზე სკოლა ეყრდნობა ჯიპრაიდის ტესტებს, რომლებსაც იყენებს დიაგნოსტირებისათვის, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი ატარებენ ხოლმე ასეთ ტესტირებებს და ამის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ პროცესებს. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების მესამე ინსტრუმენტი, კერძოდ, მოსწავლეთა თვითშეფასება, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები:**
  - საგან „ კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმები
  - საგნობრივი კურიკულუმები : კურიკულუმები: „ჩვენი საქართველო“ -V კლასი, „ჩვენი საქართველო“ -VI კლასი, „მე და საზოგადოება“- III კლასი, „მე და საზოგადოება“- IV კლასი,
  - მათემატიკის - I, II, III და IV, V, VI კლასების კურიკულუმები;
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შეფასების რუბრიკა**
  - განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, საზოგადოებრივი მეცნიერებების ( „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) დაწყებითი საფეხური
  - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, საგანი „მე და საქართველო“, მე-6 კლასი
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლის გეგმა (მესამე კლასი, ბუნებისმეტყველება)**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი; კათედრის სამოქმედო გეგმა**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კათედრის შემაჯამებელი ოქმი**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დიაგნოსტიკური ტესტები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას -**

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. კომპლექსური დავალებები შემოქმედებით პროდუქტებს და საინტერესო კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რომლებიც ხელს უწყობს კმოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, ირკვევა რომ (მატრიცებიდან, კურიკულუმებიდან, ხედვა, მისია, გასაუბრების შედეგებიდან) პედაგოგები მრავალფეროვან რესურსებს იყენებენ, საინტერესო, მოსწავლეზე მორგებული, თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე ზრუნავენ, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მოტივაცია, რომ თავიანთი შინაგანი უნარები და ნიჭი გამოავლინონ. მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება, პედაგოგები უსმენენ მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს , ეხმარებიან მათ განხორციელებაში.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სასწავლო თემები და კომპლექსური დავალებები. კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ მოსწავლეებს აძლევს საშუალებას იყვნენ ავტონომიურები და აქტიურად ჩართულნი შემოქმედებით პროცესებში. (დავალების

მაგალითებიდან აღსანიშნავია; საინფორმაციო ბუკლეტების შექმნა აფხაზეთის ომის შესახებ, ფოტო კოლაჟის შექმნა რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით;) გარდა ამისა, ტექნოლოგიების პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის.
ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**
**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, ლაშქრობა) და თეორიული (ჯანსაღი ცხოვრების წესი) შინაარსის თემები, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი სკოლას მიეცა რჩევები, დაამატოს თემები: „მოძრავი თამაშები" (1-6 კლასებში); მე-5 და მე-6 კლასებში - თემა „მავნე ჩვევების პრევენცია"; და სხვადასხვა გუნდური სპორტის შესწავლის ელემენტები (მაგ., კალათბურთის/ფრენბურთის/ფეხბურთის/ხელბურთის ელემენტები).

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმვა ხორციელდება თემატურად, რაც იმას ნიშნავს რომ თემა არის მოსწავლლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომლის დაეხმარება მას ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წიინარე ცოდნას, დამუშაავოოს და გაგანალიზოს ის. არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნა და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე არის მოგებული, ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, აძლევს საკუთარი ინტერესების გამოვლენის საშუალებას, რაც თავის მხრივ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. დაწყებით საფეხურზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით? რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - თხზულების შექმნისას? რატომ? - ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნა უწყობს ხელს მოსწავლეებში საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების უნარების განვითარებას.
მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს მკაფიოდ და გასაგებად, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რომელიც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება, ყველა მოსწავლე ჩართულია და ქმნის პროდუქტს, რომელსაც წარმოადგენს პრეზენტაციით, მოსწავლეს აქვს საშუალება საკუთარი ნამუშევრის რეფლექსიის, რა შეასრულა კარგად, რა ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენებით მიაღწია წარმატებას, ან რას შეცვლიდა, ამავდროულად, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს რომ დააფიქრონ იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც გამოიყენებენ მომავალში შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად და დაეხმარება მათ საუკეთესოს აღმოჩენაში.
ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

**სახელმწიფო ენა** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. ასევე ინტერვიუს პროცესიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის რესურსები არის გამოყენებული, რომლებსაც მოსწავლები ამუშავებენ მიზნობრივი შეკითხვებით, ეცნობიან მათში გადმოცემულ ინფორმაციას და ამუშავებენ მასალას შინაარსობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თვალსაზრისით. მოსწავლეები იღებენ სტატიკურ ცოდნას, რაც გულისხმობს ფაქტების, თეორიების შესწავლას. როგორც წინა ინდიკატორში იყო აღნიშნული, პედაგოგები ( კომპლექსური დავალებების გამოყენებით ) ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში, ჩანს რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას სასწავლო სტრატეგიების შესახებ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, რაც პროცედურული ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული კურიკულუმები მოსწავლეებს საინტერესო კონტექსტებს და დავალების პირობებს სთავაზობს. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისას მნიშვნელოვანია სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, რაც ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. ასეთ დროს მოსწავლეები მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებში, მათ შეუძლიათ დაინახონ საგანთა შორის კავშირი. 2023-2024 სასწავლო წლისათის დაწყებითი კლასების ყველა დისციპლინაში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც გაითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას.ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი შესაძლებლობები და მოცემულ საკითხებზე დაგროვილი წინარე ცოდნა.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები.**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავლებების ნიმუშები**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები;**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარი**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;**
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხედვა და მისია ( თვითშეფასების დოკუმენტიდან)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თემატური გეგმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სადამრიგებლო საათი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. საგნობრივი კათედრები ორიენტირებულები არიან კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მეტწილად განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, შეფასების რუბრიკებში მოცემულია ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან : ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეესაბამება დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, ეყრდნობა სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს. პირობითად, მე-3 კლასის კურიკულუმში თემაში „გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ“ გამოიყოფა კლასტერი „მეხანძრე მაშველი“, სამიზნე ცნება არის „ინსტიტუცია“, ხოლო ქვეცნება კი „სახელმწიფო“, „სახანძრო სამსახური“. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ორიენტირი არის სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები შუალედური მიზნები არის, რომლებიც გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში გვეხმარება. სამიზნე ცნებებსა და მკვიდრს წარმოდგენებზე დაყრდნობით არის შემუშავებული შეფასების რუბრიკები. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, სკოლა ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო კონტექსტის მქონე კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გრძელვდიანი მიზნების მიღწევის გზაზე ითვალისწინებენ მრავალფეროვანი აქტივობების განხორცილებას, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ ურთიერთობის უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას მოსწავლეებში, სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბებას და ა. შ. მაგალითად მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში გათვალისწინებული არის აფხაზეთიდან დევნილთა მოგონებების გაცნობა, დევნილთა სახელმწიფო პროგრამებზე საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება. კომპლექსური დავალების იდეები და მატრიცებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებაზე არის მორგებული; ჩანს, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეებს უახლოესი განვითარების ზონის შესაბამისად მიაწოდონ დავალებები ან მოახდინონ მათი მოდიფიცირება. დააახლოვონ დავალების შინაარსი რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების

განვითარებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმში დაამატებენ კომპლექსურ დავალებებს. ქართული ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას კი გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით აღსანიშნავია, რომ შექმნილი აქვთ პოზიტიური, მოწესრიგებული სასწავლო გარემო, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თავი იგრძნოს დაფასებულად და აღიარებულად, ითვალისწინებენ ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ, ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ერთობლივად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობებში. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

დოკუმენტებზე და მასწავლებლებთან საუბარზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები მკაფიოდ ხედავენ, თუ რა წვლილი შეაქვს ამა თუ იმ საგნობრივ საკითხზე მუშაობას მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაში და გამოხატავენ მხარდაჭერას ყველა შეფერხებაზე, რომელიც სწავლა-სწავლების დროს წარმოიქმნება, იყენებენ რემედიაციას, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს სუსტი მხარეების დაძლევაში. ამ პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით, ეყრდნობიან სხვადასხვა წყაროს/მონაცემებს, თვითშეფასებებს, იყენებენ სოლო ტაქსონომიით შეფასებას, ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა მასწავლებლებმა აღწერონ მოსწავლის საჭიროებები და ძლიერი მხარეები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). ზოგადად კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია.

რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების ასპექტებს. განმსაზღვრელი რუბრიკა ( მაგალითდ „ჩვენი საქართველო“) პედაგოგებს ეხმარება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრაში საგნობრივ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმსაზღვრელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასების რუბრიკა დაფუძნებული არის დაწყებითი საფეხურის შესაბამის საგნობრივ სტანდარტში მოცემულ ინდიკატორებზე და შემუშავებული არის კრიტერიუმები, რომლებიც ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში ამოწმებს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, შესაბამისი ქულების მითითებით. შეფასება ჰოლისტურია და სხვადასხვა კუთხით ამოწმებს მოსწავლის მიღწევებს , მაგალითად ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარს, ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, პედაგოგს შეუძლია კომენტარის ველში სიტყვიერად დააზუსტოს ქულაში გამოსახული შედეგები . საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას აქვს მზაობა და გამოცდილება , რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს დაწყებით საფეხურზე, როგორც ჰოლისტური განვითარების ინსტრუმენტი,

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გვაჩვენეს მოსწავლების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების შეფასებული ნამუშევარი, სტანდარტის შედეგებით, დავალების პირობით, სადაც განმავითარებელი შეფასების რუბრიკა და შესაბამისი დავალების პირობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა.

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, შემუშავებული რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები და დამრიგებლები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. დამრიგებლის დებულებაში დამრიგებლების ერთერთ ვალდებულებად ხაზგასმულია წლის დასაწყისში მოსწავლეებისათვის შეფასების სისტემის გაცნობა. მოსწავლეებისათვის ცნობილია, რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. გამომდინარე აქედან შეფასება გამჭვირვალეა. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ცოდნა და პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მზად არიან განაგრძონ მუშაობა ამ მიმართულებით. შეფასება ინტეგრირებული არის სასწავლო პროცესში და მიმდინარე პრაქტიკის ნაწილია. გამოყენებული ინსტრუმენტები მრავალფეროვანია. შეფასების რუბრიკების განხილვა ხდება საზოგადოებრივ საგნობრივ კათედრებზე. მათემატიკის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში ) შეფასება და სოლო ტაქსონომია.

გარდა ამისა, სკოლა სამომავლოდ გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მეტად დახვეწს შეფასების ერთიან სასკოლო ფორმას და ასახავს საგნობრივ კურიკულუმებში. ყველა დაინტერესებული პირისთვის (მშობელი, კოლეგა) იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რა ტიპის შეფასებას მიმართავს მასწავლებელი, რა ვადაში, რა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებსთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიაზრებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ამასთანავე, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი, კერძოდ, მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

კანონის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტო 113/ნ ბრძანება) სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება

შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გარკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შეფასების რუბრიკები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის ჩარჩო
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათი მუსიკა მეხუთე კლასი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მეექვსე კლასი .
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საგნობრივი მატრიცა საგანში „მე და საზოგადოება“
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის დამრიგებლის დებულება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თემატური მატრიცები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სადამრიგებლო საათი

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის მისიიდან ჩანს, რომ მისი მიზანი არის შექმნას ხელსაყრელი პირობები ადამიანის კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის, მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და განვითარებისათვის. სკოლის ხედვის მიხედვით, დაწესებულების საქმიანობა აგებული არის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრინციპებზე, სწავლების შინაარსის ორგანიზება მიმართული არის პიროვნების ზოგადკულტურული განვითარებისაკენ. თვითშეფასებისა, გასაუბრებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის წარმომადგენლობა ზრუნავს, რომ მოსწავლეებისათვის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო იყოს, წაახალისოს მათი თავისუფლება და განვითარება. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, ასევე მოსწავლის შეფასების წესი მის განვითარებაზე არის ორიენტირებული და აჩვენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებს.

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ესქპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტისას, სკოლაში დახვდა პოზიტიური, თანამშორმლობაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები მზაობას გამოხატავდნენ სიახლეებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიმართ.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რომ მასწავლებლები თავიანთ სამუშაო პროცესში იყენებენ სწავლების ჰოლისტურ მიდგომა. სასწავლო პროცესს აგებენ კონსრუქტივისტული და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ინდ, სასწავლო გეგმები, მშობელი, საგნის მასწავლებელი და სპეც. მასწავლებლების თანამშრომლობით. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს. კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა გააკეთონ არჩევანი, რაც უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს სასწავლო ამოცანების ამოცანების და პრობლემების გადასაწყვეტად. თანამშრომლობა, გამოხატული არის კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. მასწავლებლები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ერთდროულად არჩევენ საგანმანათლებლო რესურსებს, ქმნიან თემატურ მატრიცებს, ათანხმებენ ურთიერთდასწრების საკითხს დ ა გრაფიკს, ატარებენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების ანალიზებს და ა. შ . თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით კათედრებზე დანერგილი არის „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომელიც გამოცდილების გაზიარების საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია, სასკოლო კათედრები თანამშრომლობენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პროცესში.

მასწავლებლების ინტერვიურებისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერის ჯგუფი, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

ექსპერტთა ვიზიტისას, ჯგუფს სკოლაში დახვდა თანამშრომლობითი გარემო. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, სასკოლო საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს ერთამნეთთან, მათ გაზიარებული აქვთ საერთო ღირებულებები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

ავტორიზაციის ჯგუფს, ადგილზე ვიზიტისას, სკოლაში დახვდა მოსწავლეთა ნამუშევრები დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, რაც აღიარებისა / პატივისცემის ერთ-ერთი მანიშნებელია. მაგრდა ამისა, სკოლას გარე სტადიონზე მოწყობილი აქვს გულშემატკივრებისთვის სკამები (სპორტული თამაშების დროს მოსწავლეები გულშემატკივრობენ მეგობრებს), რაც ასევე პოზიტიურ კლიმატსა და ურთიერთობებზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ნიმუში)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის შეფასების ოქმი
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სამოქმედო გეგმა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლების სკოლის სამოქმედო გეგმა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თემატური მატრიცები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილი ინსტრუმენტების შესაბამისად. ძირითადად პასუხის გაცემა ხდება ორი შეკითხვისათვის: რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში; რამდენად მოაქვთ დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობის ფორმატში. ის სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება
- სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება
- სკოლის ინსტიტუციური განვითარების საკითხი.

კურიკულუმის მონიტორინგის საფუძველზე ხდება დასკვნების გამოტანა, რამდენად უზრუნველყოფს დოკუმენტი სწავლის შედეგების მიღწევას და არსებობს თუ არა ცვლილებების აუცილებლობა.

მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია მოსწავლეთა თვითშეფასების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. უცხოური ენებისა და ესთეტიკური აღზრის მიმართულებით, ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული. მეთოდოლოგიის დოკუმენტში ხაზგასმული არის სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობის გაძლიერება ერთერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.
მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის პროექტში, ამიტომ სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს როგორც კათედრები, დირექცია, ასევე საგნობრივი ექპერტები, სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
გარდა ამისა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში ინსტრუმენტში ხაზგასმული არის, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ემსახურება სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვება. მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე არის ორიენტირებული.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის თვითშეფასება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი ოქმი ქართული ენისა და ლიტერატურისა;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**
**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის, მაგალითად, შემდეგი შინაარსის, მიზნობრივი კითხვები:

- რა რესურსები გამოდგა აქტუალური ცოდნის კონსტრუირების პროცესში?
- რა პრობლემები გამოვლინდა მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების პროცესში?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარება?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარება? და ა. შ.

კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, როგორიც არის სკოლის ინსტიტუციური განვითარება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ა. შ .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასება.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (თითოეული საგნის).
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი ოქმი;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დამრიგებლის საათი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. რეკომენდაციები, მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ „შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომლის გაზიარებაც ელექტრონულად მოხდება სკოლის მასწავლებლებისათვის.

გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა 2021 წლიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", რომლის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩები სისტემატიურად ხვდებოდნენ მათ და ხდებოდა საგნობრივი კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების ბანკის შექმნა, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებენ დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ხორციელდება საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.
- მოსწავლეთა შედეგებს, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებული ცვლილებების საკითხს.
- მშობლების ჩართულობა, რომელიც აღწერს, რამდენად გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, რომლიც შეეხება მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხებს.
- სკოლის დირექცია, რომელიც აღწერს რა ფაქტორები უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან.

პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საგნობრივ კათედრებს. სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს და მიგნებებს

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესი არის და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასზე მუშაობა. სკოლა/ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა გეგმავს 2023-2024 წელს სასწავლო პროცესის წარმართვას გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმებით.
**ამასთანავე,** მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** კურიკულუმები. (იხ. დანართები კურიკულუმები-დაწყებითი საფეხურის კლასების მიხედვით)
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასება
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** თემატური გეგმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

----

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი არის: კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომელთაც კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება, კურიკულუმის განვითარების ეტაპები. კონკრეტულად კი ის შემდეგ საკითხებს მიმოიხილავს:

- სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები.
- პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი.
- კურიკულუმის განვითარების ეტაპები.
- კურიკულუმის რევიზია.
- კურიკულუმის შემუშავება.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვა.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგი კი დირექტორის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული. დოკუმენტში გაწერილი არის პედაგოგების, კათედრის თავმჯდომარეების, სკოლის დირექტორის ფუნქციები კურიკულუმის დანერგვის პროცესში.

მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მიმდინარე / წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულება გულისხმობს კონკრეტულ საკითხებს, რომელთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნოს წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ასევე რეკომენდაციების პაკეტს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებული არის შემდეგი საკითხები: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის ინტერპრეტირება, დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და სკოლის პრიორიტეტებთან, შუალედურ სასწავლო მიზნებზე ორიენტირება, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნება გამოყენებული გასული წლის განმავლობაში და ა. შ.

**გარდა ამისა, მასწავლებლებმა** ინტერვიების დროსაც აღინიშნეს, რომ კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

სწავლა-სწავლების პროცესში დრო ეთმობა სამუშაო შეხვედრებს, რომლებზეც პედაგოგები, ერთობლივად გეგმავენ კურიკულუმს და სხვადასხვა საგნის სასწავლო თემებს სხვადასხვა ასპექტით უკავშირებენ ერთმანეთს, ხდება საგანთაშორის კავშირის დადგენა და იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. ამასთან, მხარდამჭერი ჯგუფის ექსპერტები ესწრებიან გაკვეთილებს და პედაგოგებთან ერთად განიხილავენ და მსჯელობენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭირო მეთოდებსა და სტრატეგიებზე, სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

სასწავლო თემები, დავალებები, აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე, გარდა ამისა, მუდმივად აკვირდებიან და სწავლობენ საკუთარი მოსწავლეების ინტერესებს, მაგალითად, ერთ-ერთმა მასწავლებელმა ისაუბრა გიორგი ლეონიძის „მარიტას“ მიხედვით წარმართულ სასწავლო პროცესზე, როდესაც დავალებით „დღიურის შექმნა“ დაადგინა მოსწავლეთა ინტერესების სფერო და ამის მიხედვით წარმართა შემდგომი პროცესები - ყოველივე ამას კათედრა ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას.

კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერსების ასხვის მაგალითია, საბაზო საფეხურზე სკოლში განხორციელებული პროექტები. STEM-ის ფარგლებში აღსანიშნავია: ეკოლოგიური მიმართულებით განხორციელბეული პროექტი „დედამიწის დღე“, სადაც აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მუშავდება საგნობრივი კურიკულუმები და ხდება კათედრის წევრების ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე შეარჩიეს კომპლექსური დავალებები.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია დოკუმენტის შემუშავების პრინციპები, საიდანაც ჩანს რომ ფუნქციები, პასუხისმგებლობები განაწილებული არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები. პირველ ეტაპზე ხდება კონცეპტუალური ჩარჩოს განხილვა: გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება და ა. შ . შემდეგ კი მსჯელობის ეტაპი არის კურიკულუმის დიზაინზე შეთანხმება, სადაც დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის

განვითარების პროცესში მათ მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. აღნიშნული პროცესები ნაწილობრივ ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთ კი დირექტორის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული.

სასკოლო საზოგადოების წევრების როლი გამოკვეთილია:

პედაგოგმა გარდა იმისა, რომ უნდა ჩაატაროს გაკვეთილები, ვალდებული არის კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თოთოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო კათედრის წევრებთან ერთად პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სხვ.

კათედრის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმი დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად , ინოვაციების დასანერგად, მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და სხვ.

სკოლის დირექციამ ფასილიტაცია უნდა გაუწიოს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და გამოყენებაზე , კათედრის ხელმღვანელებთან შეთანხმებით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება.

დოკუმენტში განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები.

ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**ამ მიმართულებით სკოლას მიეცა რჩევა:** საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების, განსაკუთრებით მშობლების, ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. მაგალითად აქტიურად ჩართოს მშობლები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით , გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებული არის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული არის პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მიზნობრივი ჯგუფები ( პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ).
გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისსას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა მშობელებთან შეხვედრები, სადაც მშობლები იღებენ უფრო დეტალურ ინფორმაციას საკუთარი შვილების კურიკულუმებზე მუშაობის შესახებ, კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით, შეფასების კრიტერიუმებზე, შესრულების ვადებზე და მიმდინარე პროცესების შესახებ, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.
სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს სკოლის ჰოლში გამოკრული დახვდა სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და ა.შ. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (თითოეული საგნის)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები / საბაზო საფეხური
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის 2022-23 სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.დოკუმენტაციის შესწავლისას აშკარად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილ მტკიცებულებებში. კურიკულუმებში დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას.
გარდა ამისა, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა - ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშველობაზე. მაგალითად: მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა „გამოიკვლიე ნივთიერების სიმკვრივის ცვლილების ხერხები და დაამზადე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ფერადი კოქტეილი“რაც მუშავდება თემის - ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები ფარგლებში. მასწავლებლებმა საინტერესოდ ისაუბრეს, აღნიშნული კომპლექსურის განხორციელების გზაზე, წარმოადგინეს მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალება.

ესთეტიკური აღზრდის, მიმართულებით, კერძოდ, მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში წარმმოდგენილი აქვს ორი სავალდებულო თემას , საბაზო საფეხურზე სავალდებულოა დამუშავდეს სამი სავალდებულო თემა, სკოლას მიეცა **რჩევა**, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულ ორ თემას დაამატოს მესამე სავალდებულ თემა, განსაზღვროს სავალდებულო თემატური ბლოკი და თემა, ასევე თითოეულ სავალდებულო თემატურ ბლოკში და თემაში დამუშავოს ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას გაითვალისწინოს აკადემიური საათების რაოდენობა, განსაკუთრებით კი ყურადღება მიექცეს მერვე და მეცხრე კლასების კურიკულუმის თავფურცელის შედგენის დროს.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, სკოლას მზაობა აქვს იმუშავოს კურიკულუმების შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებლების მიერ დაგეგმილ და შემდეგ უკვე დანერგილ კომპლექსურ დავალებებში კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაყრდნობით მკაფიოდ ჩანს, რომ მრავალფეროვანი რესურსების, სტრატეგიების, დავალებების, აქტივობების და შეფასების გამოყენება მოსწავლეებში ავითარებს 21-ე საუკუნის გლობალურ ფუნქციურ უნარებს.

სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით.

ა) გრძელვადიან მიზნებზე (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) ორიენტირება, რომელიც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებას და ცხოვრებისეულ სიტუაციაში რეალიზებას.

ბ) სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით, (მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება; ახალი ცოდნის კონსტრუირება; წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება; სწავლის სწავლა; ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) -კომპლექსური დავალების განხორციელება და პრაქტიკაში რეალიზება.

თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება არის დამუშავებული, რომელთა შესაბამისი ქვეცნებები ასევე წარმოდგენილი არის კურიკულუმის ჩარჩოებში ( მაგ. ძალაუფლება - სულთანი, ისტორიული მოვლენა / პროცესი -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კონსტანტინოპოლის დაცემა, დრო - პალეოლითის ხანა, მოსახლეობა და მეურნეობა - მიგრაცია, გეოგრაფიული გარსი - უდაბნო, საზოგადოება - მოხალისეობა, დემოკრატია - ტოლერანტობა და ა. შ).
კათედრას აქვს მზაობა რომ დოკუმენტების სრულყოფა დაასრულოს სექტემბერში ( შეავსოს ყველა ველი).
**აღსანიშნავია კომპლექსური დავალება ქართულ ენაში,** მერვე კლასში კათედრა გეგმავს განახორციელოს კომპლექსური დავალება გიორგი ლეონიძის მოთხრობა „მარიტას“ მიხედვით მონოლოგის შექმნა, რომლის მიზანიც არის სამიზნე ცნებების - ჟანრისა და კომპოზიციის - გააქტიურება და დამუშავება შესაბამისი ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ჩამოყალიბებული არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრებები, გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების საკითხები და ა. შ . რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლას ზრუნავს მოსწავლეების საჭიროების შესაბამისად ინკლუზიური გარემოს შექმნაზე.
საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გარკვეულწილად ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, კერძოდ, სკოლას სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვს ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, ასევე, სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში.
მასწავლებლების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია შეფასების პრინციპები, რომელბიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას.წარმოდგენილი შეფასების ამსახველი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ შეფასების პროცესში სკოლა გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სკოლას გააჩნია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი რუბრიკები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. კათედრას მანამდეც ჰქონდა შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, მაგალითად შეიმუშავებდა კონკრეტული საჭიროების შესაბამისად შეიმუშავებდა ანალიტიკურ რუბრიკებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი დანიშნულებით (მაგ, პრეზენტაციის უნარების შეფასება, ჩართულობა და ა. შ.), აძლევდა მოსწავლეებს განმავითარებელ, ზეპირ კომენტარს და ა. შ. პედაგოგები ახორციელებდნენ შემაჯამებელი დავალებების შეფასებების ანალიზს. **კონკრეტული მაგალითის სახით, შეგვძილია მოვიყვანოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა.** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პედაგოგებს აქვთ განმავითარებელი შეფასების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის მზაობა და გამოცდილება. მაგალითად წარმოდგენილია, განმავითარებელი კომენტარის ნიმუში, რომელიც სამი კომპონენტისაგან შედგება, დაზუსტება, წახალისება და რჩევა და სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, აღწერს მოსწავლის მიღწევებს, აძლევს უკუკავშირს. გეოგრაფიაში, ისტორიაში და მოქალაქეობაში, საბაზო საფეხურის შესაბამისად, წარმოდგენილი არის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, კონკრეტულ დავალებებთან მიმართებაში გაწერილია მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინები (მაგ, მოსწავლემ უნდა შეძლოს, რომ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით დაასაბუთოს...), რომლებთან მიმართებაშიც უნდა გაიზომოს მოსწავლის მიღწევები კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. განმავითარებელი შეფასება არის ჰოლისტური ხასიათის, მოსწავლე მოიაზრებს როგორც პროცესის მთავარ მონაწილეს, ითვალისწინებს სტანდარტის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს მათზე დაყრდნობით განახორციელოს მოსწავლის მიმართ უკუკავშირი. წარმოდგენილი იქნა, საგნების მიხედვით (გეოგრაფია, ისტორია , მოქალაქეობა) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თითო ნიმუში, რომლებიც ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იყო შემუშავებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა მიმართოს გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ , ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში, გათვალისწინებულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ თემატურ მატრიცებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.
კათედრის სხდომის ოქმებიდან ცხადი ხდება, რომ პედაგოგები კათედრაზე ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას (მაგალითად კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით) და ცდილობენ მათ პრაქტიკაში დანერგვას).
რაც შეხება, მოსწავლის წინარე გამოცდილებას,მასწავლებელებთან გასაუბრებებით დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.რასაც ადასტურებს წინა წლის სასწავლო გეგმები, მასწავლებლების თქმით, წინა წლის სასწავლო გეგმების ანალიზმა მათ მისცა გარკვეული გამოცდილება - ახალ კურიკულემებზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, კომპლექსური დავალება, კონსტრუქტივისტული პრიციპით სწავლებას ნიშავს, რაც თავისთავად წინარე ცოდის გააქტიორებას და მასზე დაყდნობას გულისხმობს.
კონკრეტულად ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით კათედრამ შეარჩია დიაგნოსტირების მესამე ინსტრუმენტი, კერძოდ, მოსწავლეთა თვითშეფასება, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი და გამოცდილება დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოდილების ანალიზი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის მუსიკის (VIIკლასის) კომპლექსური დავალების ბარათი.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ მუსიკა თემატური მატრიცა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხური
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, საზოგადოებრივი მეცნიერებების ( ისტორია, გეოგრაფია , მოქალაქეობა), საბაზო საფეხური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საზოგადოებრივი მეცნიერებების ( ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბაზო საფეხური
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შეფასების რუბრიკები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ინდ გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისას, გამოიკვეთა, რომ სკოლა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობას. აღნიშნული კი მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ და შემოწმედებით ჩართულობის შესაძლებლობას.

წარმოდგენილია ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

გარდა ამისა, სკოლას, გახორციელებული აქვს მრავალი სასწავლო პროექტი, რომლის დასტურიც გახლავთ, გადმოგზავნილი მასალა (პროექტის დასაბუთება, მიზნები, აღწერა), ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლის ვიზუალური დათვალისრებისას აღმოაჩინა მოსწავლეთა შესრულებული სხვადასხვა პროექტული დავალება.

მასწავლებლებთან ინტერვიურებისას, საბუნებისმეტყველო კათედრამ აღნიშნა, რომ განხროციელებული აქვთ სხვადასხვა საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებში სკოლამ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაამდიდრა ტექნიკური აღჭურვილობით (პროექტორი და პორტატული კომპიუტერი - ნოუთბუკი).

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალების პირობა ან კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება, რომელიც კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლებას ნიშნავს, ასევე გულისხმობს მოსწავლის გამოცდილების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

უწყვეტობას, რომელიც დაფუძნებულია  წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მასზედ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. კომპლექსური დავალების დამუშავება ორ ეტაპს მოიცავს, პირელ ეტაპზე ხდება კომპლექსურის პირობის, შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობა. პედაგოგის კითხვებით ააქტიურებს შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებაში მოსწავლეებში არსებულ ცოდნას, შემდგომ, დავალების განხორციელების ეტაპზე ( ნაბიჯებად დამუშავება)  შეკითხვები ხელს უწყობს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას და კონსტრუირებას.

წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშებია, კომპლექსური დავალების (ზეპირი პრეზენტაცია დ. გურამიშვილის „დავითიანსა“ და მისი შექმნის ეპოქას შორის არსებული მიმართებების შესახებ) მომზადება,VII კლასის გეოგრაფიაში სავალდებულო თემებს წარმოადგენს დედამიწა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი, ანტარქტიდა. კურიკულუმის მიხედვით თანმიმდევრულად ხდება აღნიშნული თემების დამუშავება. თემებში გამოყოფილი არის საკითხთა კლასტერები და შემოთავაზებულია კონტექსტ -მაგალითებზე აგებული კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად თემაში „დედამიწა“ სამიზნე ცნებასთან მიმართებით „მდგრადი განვითარება“ გამოიყოფა საკითხთა კლასტერი „მსოფლიო ოკეანე“ , კომპლექსური დავალების იდეა  გულისხმობს  სტატიის საშუალებით ადამიანების დაფიქრებას ანთროპოგენურ გავლენაზე ოკეანეში არსებულ სიცოცხლის ფორმებზე; კონტექსტმაგალითი არის კი „ნაგვის კუნძულები“ მსოფლიო ოკეანეში. სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემები მოაზრებული არის მოსწავლის შემეცნების სუბიექტად და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს. შემოტანილი კომპლექსური დავალება აქტუალურია, რომელიც შეიძლება რომ მოსწავლემ დააკავშიროს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციასთან (მაგ, საინფორმაციო საშუალებები), ეკოლოგიურ საკითხებში  დაკვირვებით მიღებულ გამოცდილებასთან და ა. შ.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის  შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, სასწავლო პროცესი მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე არის მოგებული, ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, აძლევს საკუთარი ინტერესების გამოვლენის საშუალებას, რაც თავის მხრივ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ამასთანავე, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. საბაზო საფეხურზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით?

ესთეთიკური აღზრდის მიმართულებით ამ პროცესს უფრო მომავლის სახე აქვს, და მასწავლებლება ინტერვიურებისას ისაუბრეს თუ როგორ ხედავენ ამ მიმართულებით საკუთარ მუშობას, თუ როგორ უნდა მოხდეს წახალისებული სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა საბაზო საფეხურზე როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნვეყოს მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება.

გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, და ასევე ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად მასწავლებლები აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები პირობისეულ ცოდნაზე და პრობლემის გადაჭრაზე არის ორიენტირებული, შესაბამისად ისინი მოსწავლისაგან მრავალფეროვანი გამოცდილების მობილიზებას და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას ითხოვს. რადგან კომპლექსური დავალება მოსწავლის წინაშე სვამს კონკრეტულ პრობლემას, მას ფიქრი უწევს ყველა ცოდნასა და უნარზე, რაც ამ საკითხთან არის დაკავშირებული, ნაცვლად მასალის უბრალოდ დასწავლისა.ამის თვალსაჩინო მაგალითია, მეცხრე კლასში დაგეგმილი აქვთ შემდეგი კომპლექსური დავალება ქართულ ენაში - ზეპირი პრეზენტაცია დ. გურამიშვილის „დავითიანს“ და მისი შექმნის ეპოქას შორის არსებული მიმართებების შესახებ, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა „ცოდნა“: ეპოქის მახასიათებლები, ავტორის მთავარი სათქმელი, თემა, ავტორის ბიოგრაფიული დეტალები და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მხოლოდ ამ ცოდნათა გაერთიანებით შეძლებს მოსწავლე დავალების შესრულებას. მეორე მაგალითია, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ერთერთი კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეს ავალებს ალტერნატიული ისტორიის მოფიქრებას მეორე მსოფლიო ომის შესახებ, რაც მოსწავლეს უბიძგებს მოვლენების კომპლექსურ გააზრებაზე, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით წარსულში მომხდარი მოვლენების შეფასებაზე და ზოგადად, მრავალფეროვანი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით.

გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, და ასევე ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (თითოეული საგნის მიმართულებით)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საგნობრივი თემატური მატრიცები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ხედვა და მისია (თვითშეფასების დოკუმენტიდან)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თემატური გეგმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სასწავლო პროცესში დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილი არის სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, თითოეულ თემაში კი ამუშავებს ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებას. კურიკულუმებში მოცემული არის ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან.

სწავლა სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვდირ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აღსანიშნავია, რომ ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მხოლოდ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კურიკულუმის თავფურცელის ჩარჩოშია მითითებული სამიზნე ცნებები (იქ სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება). თუმცა შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.
გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, და ასევე ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, სკოლა ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა მოსწავლეებს კონტექსტის მქონე კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზაზე ითვალისწინებენ მრავალფეროვანი აქტივობების განხორცილებას, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ ურთიერთობის უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას მოსწავლეებში, სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბებას და ა. შ.
საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. კომპლექსური დავალების იდეები და მატრიცებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებაზე არის მორგებული; ჩანს, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეების უახლოესი განვითარების ზონის შესაბამისად შეიმუშაონ დავალებები ან მოახდინონ მათი მოდიფიცირება. ამის მაგალითია, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, VII კლასის კურიკულუმში გათვალისწინებული არის კულტურული მრავალფეროვნებისა და თემში მცხოვრებ განსხავებული შეხედულებების ადამიანებს შორის თანამშრომლობის საკითხზე კომპლექსური დავალების მომზადება.
გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.
გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, და ასევე ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

2023-2024 წლის სასკოლო გეგმის პროოექტში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). განმსაზღვრელი რუბრიკა პედაგოგებს ეხმარებათ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრაში საგნობრივ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაფუძნებული არის საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში მოცემულ ინდიკატორებზე და შემუშავებული არის კრიტერიუმები, რომლებიც ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში ამოწმებს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, შესაბამისი ქულების მითითებით. შეფასება ჰოლისტურია და სხვადასხვა კუთხით ამოწმებს მოსწავლის მიღწევებს , მაგალითად ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარს, ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, პედაგოგს შეუძლია კომენტარის ველში სიტყვიერად დააზუსტოს ქულაში გამოსახული შედეგები .

განმავითარებელი შეფასების მაგალითი წარმოდგენილი არის კომენტარის სახით, რომელიც სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან შედგენა: დაზუსტება, წახალისება და რჩევა. შეფასება სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში აზუსტებს მოსწავლის შედეგებს და აძლევს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზეა ორიენტირებულ უკუკავშირს.

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნას.

გარდა ამისა, საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ ფქირო-ემოციური მდგომარეობა, ასევე მათი ჩართულობა კლასგარეშე აქტივობებში.

გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, და ასევე ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, შემუშავებული რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები და დამრიგებლები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. დამრიგებლის დებულებაში დამრიგებლების ერთერთ ვალდებულებად ხაზგასმულია წლის დასაწყისში მოსწავლეებისათვის შეფასების სისტემის გაცნობა. შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, ბიექტურობასა და სანდოობას მოწმობს, ინტერვიურებისას წარდგენილი, კონკრეტული მოსწავლების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების შეფასებული ნამუშევარი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სტანდარტის შედეგებით, დავალების პირობით, სადაც წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და შესაბამისი დავალების პირობა იძლევა საშალებას განისაზღვროს შეფასების ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა.

ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ, სამომავლოდ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებსთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიაზრებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ამასთანავე, არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი, კერძოდ, მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

კანონის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტო 113/ნ ბრძანება) სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გარკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (თითოეული საგნის)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დანართები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საგნობრივი მატრიცები ,
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალებები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის პედაგოგის რეფლექსია გაწეული მუშაობის შესახებ , 2022-2023 სასწავლო წელი.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის დამრიგებლის დებულება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის მისიიდან ჩანს, რომ მისი მიზანი არის შექმნას ხელსაყრელი პირობები ადამიანის კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის, მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და განვითარებისათვის. სკოლის ხედვის მიხედვით, დაწესებულების საქმიანობა აგებული არის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრინციპებზე, სწავლების შინაარსის ორგანიზება მიმართული არის პიროვნების ზოგადკულტურული განვითარებისაკენ. თვითშეფასებისა, გასაუბრებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის წარმომადგენლობა ზრუნავს, რომ მოსწავლეებისათვის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო იყოს, წაახალისოს მათი თავისუფლება და განვითარება. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, ასევე მოსწავლის შეფასების წესი მის განვითარებაზე არის ორიენტირებული და აჩვენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებს. გამომდინარე აქედან , შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე,
მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც, კერძოდ, თემები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
სასწავლო პროცესში შექმნილი მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, იგრძნობოდა სკოლაში ექსპერტთან ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა შესრულებული დავალებები. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ მოსწავლე ამ პროცესების აქტიური მონაწილეა. განვლილი პროცესებში გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით ხდება: რა ფაქტორები უწყობდა ხელს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები უწყობდა / უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. აღნიშნულ მასალიდან ჩანს, რომ მოსწავლის ჩართულობა პროცესებში სკოლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია და ხელშემწყობ ღონისძიებებს ახორციელებს, ასევე წახალისებულია მისი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის მიხედვით მოსწავლის ჩართულობის ანალიზის შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს.

მასწავლებლებთან ინვიურებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. რაც დასტურდება წარმოდგენილი თემატური მატრიცებით, დაგეგმილი აქტივობებით.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სეხვედრების ოქმებით) და იინტერვიურებით ნათლად ჩცანს, რომ სკოლაში დანერგილია ქმედითი და ურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთსწავლებაზე აგებული სასკოლო კულტურა. ყველა მასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისა და თვითრეგულირებადი დისციპლინისთვის. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლის, საგაკვეთილო პროცესისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თანამშრომლობა, მაგალითად გამოხატული არის კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. კათედრების სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ერთდროულად არჩევენ საგანმანათლებლო რესურსებს, ქმნიან თემატურ მატრიცებს, ათანხმებენ ურთიერთდასწრების საკითხს დ ა გრაფიკს, ატარებენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების ანალიზებს და ა. შ . თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით კათედრებზე დანერგილი არის „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომელიც გამოცდილების გაზიარების საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია, სასკოლო კათედრები თანამშრომლობენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პროცესში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი კულლტურაა, რაცც გამოიხატებოდა შექმნილ თანამშრომლურ გარემოში, სასკოლო საზოგადოების მზაობაში, კონსტრუქტივისტული უკუკავშს მირებაში.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო კლიმატის დამკვიდრებაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე . სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან ჩანს ( 2022-2023 წწ. ), რომ სკოლის პრიორიტეტებს წარმოადგენს: მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების დანერგვა და ორგანიზება, სკოლის დემოკრატიული მართვის პრინციპების დამკვიდრება, დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა, თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედება, წარმატებული მოსწავლეების წახალისება, უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა, საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია და ინტეგრირებული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და ა. შ. სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატი სკოლის ადმინისტრაციის მთავარი საზრუნავია და მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს გეგმავს, ახორციელებს აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად.
მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში.
ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის შეფასების ოქმები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სამოქმედო გეგმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტისსაჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ყველა საგანში)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლების სკოლის  სამოქმედო გეგმა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის თემატური მატრიცები;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება  ხორციელდება კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილი ინსტრუმენტების შესაბამისად. ძირითადად პასუხის გაცემა ხდება ორი შეკითხვისათვის:  რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში;  რამდენად მოაქვთ დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება  კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობის ფორმატში. ის სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება
- სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება
- სკოლის ინსტიტუციური განვითარების საკითხი.

კურიკულუმის მონიტორინგის საფუძველზე ხდება დასკვნების გამოტანა, რამდენად უზრუნველყოფს დოკუმენტი სწავლის შედეგების მიღწევას და არსებობს თუ არა ცვლილებების აუცილებლობა.

ამის დასტურია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია მოსწავლეთა თვითშეფასების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია**.

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით (ხარისხის შეფასების ოქმი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში.

დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლისათვის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, წლიური მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. მონიტორინგი, გაკეთებული ანალიზი სკოლას აძლევს საშუალებას შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია**.

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში ინსტრუმენტში ხაზგასმული არის, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ემსახურება სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვება. მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე არის ორიენტირებული. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ქართულის კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შეფასების რუბრიკები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათი მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვმება.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლისთემატური მატრიცა მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასება
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი ოქმი ქართული ენისა და ლიტერატურისა;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების ბარათები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.
გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის, მაგალითად, შემდეგი შინაარსის, მიზნობრივი კითხვები:

- რა რესურსები გამოდგა აქტუალური ცოდნის კონსტრუირების პროცესში?
- რა პრობლემები გამოვლინდა მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების პროცესში?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარება?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარება? და ა. შ.

კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, როგორიც არის სკოლის ინსტიტუციური განვითარება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ა. შ .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასება.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (თითოეული საგნის).
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი ოქმი;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის დამრიგებლის საათი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. რეკომენდაციები, მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ „შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომლის გაზიარებაც ელექტრონულად მოხდება სკოლის მასწავლებლებისათვის.

გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა 2021 წლიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", რომლის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩები სისტემატიურად ხვდებოდნენ მათ და ხდებოდა საგნობრივი კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების ბანკის შექმნა, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებენ დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ხორციელდება საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

•მოსწავლეთა შედეგებს, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებული ცვლილებების საკითხს.

•მშობლების ჩართულობა, რომელიც აღწერს, რამდენად გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.

•კათედრები, რომლიც შეეხება მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხებს.

•სკოლის დირექცია, რომელიც აღწერს რა ფაქტორები უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან.

პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საგნობრივ კათედრებს. სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს და მიგნებებს

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესი არის და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასზე მუშაობა. სკოლა/ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა გეგმავს 2023-2024 წელს სასწავლო პროცესის წარმართვას გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმებით.

**ამასთანავე,** მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი** კურიკულუმები. (იხ. დანართები კურიკულუმები-დაწყებითი საფეხურის კლასების მიხედვით)
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის თვითშეფასება
- **სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის** თემატური გეგმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი არის: კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომელთაც კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება, კურიკულუმის განვითარების ეტაპები. კონკრეტულად კი ის შემდეგ საკითხებს მიმოიხილავს:

- სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები.
- პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი.
- კურიკულუმის განვითარების ეტაპები.
- კურიკულუმის რევიზია.
- კურიკულუმის შემუშავება.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვა.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგი კი დირექტორის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული. დოკუმენტში გაწერილი არის პედაგოგების, კათედრის თავმჯდომარეების, სკოლის დირექტორის ფუნქციები კურიკულუმის დანერგვის პროცესში.

მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მიმდინარე / წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულება გულისხმობს კონკრეტულ საკითხებს, რომელთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნოს წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ასევე რეკომენდაციების პაკეტს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებული არის შემდეგი საკითხები: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის ინტერპრეტირება, დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და სკოლის პრიორიტეტებთან, შუალედურ სასწავლო მიზნებზე ორიენტირება, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნება გამოყენებული გასული წლის განმავლობაში და ა. შ.

**გარდა ამისა, მასწავლებლებმა** ინტერვიების დროსაც აღინიშნეს, რომ კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

სწავლა-სწავლების პროცესში დრო ეთმობა სამუშაო შეხვედრებს, რომლებზეც პედაგოგები, ერთობლივად გეგმავენ კურიკულუმს და სხვადასხვა საგნის სასწავლო თემებს სხვადასხვა ასპექტით უკავშირებენ ერთმანეთს, ხდება საგანთაშორის კავშირის დადგენა და იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. ამასთან, მხარდამჭერი ჯგუფის ექსპერტები ესწრებიან გაკვეთილებს და პედაგოგებთან ერთად განიხილავენ და მსჯელობენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭირო მეთოდებსა და სტრატეგიებზე, სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

სასწავლო თემები, დავალებები, აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე, გარდა ამისა, მუდმივად აკვირდებიან და სწავლობენ საკუთარი მოსწავლეების ინტერესებს, მაგალითად, ერთ-ერთმა მასწავლებელმა ისაუბრა გიორგი ლეონიძის „მარიტას" მიხედვით წარმართულ სასწავლო პროცესზე, როდესაც დავალებით „დღიურის შექმნა" დაადგინა მოსწავლეთა ინტერესების სფერო და ამის მიხედვით წარმართა შემდგომი პროცესები - ყოველივე ამას კათედრა ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას.

**სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაათვალისწინების ერთ-ერთი მაგალითია -** მაგ: სკოლას განხორციელებული აქვს საშუალო საფეხურზე სხვადასხვა ტიპის პროექტები, როგორც STEM, ასევე ეკოლოგიური მიმართულებებით, სადაც აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება.მაგალითად; თელავის მუნიციპალიტეტის ბუშეტის საჯარო სკოლაში ეკოკლუბის სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელდა პროექტი, რომელიც დაუკავშირდა დედამიწის დღეს. ასევე ქიმიის მიმრთულებით IX-X კლასების მოსწავლეება განახორციელეს პროექტი"რძისაგან წების მიღება".მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ რეგიონის სფეციფიკიდან გამომდინარე, განხორციელდა პროექტი:"ბიომევენახეობა და ადამიანის უფლებები".

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია დოკუმენტის შემუშავების პრინციპები, საიდანაც ჩანს რომ ფუნქციები, პასუხისმგებლობები განაწილებული არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები. პირველ ეტაპზე ხდება კონცეპტუალური ჩარჩოს განხილვა: გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება და ა. შ . შემდეგ კი მსჯელობის ეტაპი არის კურიკულუმის დიზაინზე შეთანხმება, სადაც დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განვითარების პროცესში მათ მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. აღნიშნული პროცესები ნაწილობრივ ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთ კი დირექტორის
სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული.
სასკოლო საზოგადოების წევრების როლი გამოკვეთილია:
პედაგოგმა გარდა იმისა, რომ უნდა ჩაატაროს გაკვეთილები, ვალდებული არის კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თოთოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო კათედრის წევრებთან ერთად პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სხვ.

კათედრის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმი დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად , ინოვაციების დასანერგად, მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და სხვ.

სკოლის დირექციამ ფასილიტაცია უნდა გაუწიოს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და გამოყენებაზე, კათედრის ხელმღვანელებთან შეთანხმებით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება.

დოკუმენტში განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები.

ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით , გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებული არის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული არის პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მიზნობრივი ჯგუფები ( პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისსას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა მშობელებთან შეხვედრები, სადაც მშობლები იღებენ უფრო დეტალურ ინფორმაციას საკუთარი შვილების კურიკულუმებზე მუშაობის შესახებ, კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით, შეფასების კრიტერიუმებზე, შესრულების ვადებზე და მიმდინარე პროცესების შესახებ, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.
სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს სკოლის ჰოლში გამოკრული დახვდა სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და ა.შ. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (თითოეული საგნის)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
შემუშავებული. აღნიშნული დოკუმენტები გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული და შედეგების მიღწევის მთავარ გზას სამიზნე ცნებების გააზრება წარმოადგენს. დოკუმენტაციის გაცნობის, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ცხადი ხდება, რომ სწავლა-სწავლების მთავარ სუბიექტად მოსწავლე არის მიჩნეული და უმთავრესი მიზანი მისი პიროვნული განვითარებისათვის ხელშეწყობაა. იგივე იყო აღნიშნული კურიკულუმის დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიაში, საიდანაც ჩანდა რომ სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც გამოიხატება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში, კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვაში, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში . სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლების შესრულებასაც მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობებზე არის გათვლილი. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები მიმრთავენ მეტაკოგნიციის სტრატეგიებს, ახალისებენ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას და ცდილობენ დააფიქრონ მოსწავლე რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სამუშაოს წარმატებით შესრულებაში დაეხმარა და რა ფაქტორებს შეეძლო რომ ხელი შეეშალა შედეგზე გასვლაში
არსებულ მასალებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს წარმოდგენს გრძელვადიანი მიზნები და პროცესები მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე არის ორიენტირებული.
**მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მაგალითია: ესთეტიკური აღზრდის იმიმართულებით,** საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წელს სკოლას არჩეული პროექტი მუსიკაში. სკოლას აქვს წარმოდგენილი პროექტის იდეა, მიზანი, პროექტის ფარგლზში განხორციელებული ეტაპები, ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში , მასწავლებლემა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განხორციელებ პროექტებზე. ასევე, კომპლექსური დავალება ქიმიაში X კლასი: წარმოადგენილი პროექტის იდეა - რძისგან წებოს მიღება ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური და ტრანსფერული უნარების განვითარებას. წარმოდგენილი განმსაზღვრელი(ჰოლისტური) და განმავითარებელი შეფასებები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლისათვის უკუკავშირის მიცემა ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები - სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მასწავლებლებმა საინტერესოდ ისაუბრეს, როგორ ფიქრობენ ამ კომპლექსურის განორციელებას. მათი თქმით, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც დაფუძნებულია მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებზე. კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითრების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლის შესაძლებლობების მიხედვით. სამივე საგნის კურიკულუმებში ძირითადათ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. მასწავლებლებმა ინტერვიუში სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.

ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი არის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი / საკითხთა კლასტერი, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც კლასტერიდან გამომდინარე კონკრეტულ მაგალითებზე არის აგებული. თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება არის დამუშავებული, რომელთა შესაბამისი ქვეცნებები ასევე წარმოდგენილი არის კურიკულუმის ჩარჩოებში. კომპლექსური დავალების მაგალითებია: X კლასში კომპლექსური დავალება ქართულ ენასა და ლიტერატტურაში- პრეზენტაციის მომზადება იოანე საბანისძის სალიტერატურო ენაზე, რომლის მიზანიც არის სამიზნე ცნებების - ჟანრის, კომპოზიციისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების - გააქტიურება და დამუშავება შესაბამისი ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ, ეს მოწმობს, რომ მათ აქვთ მზაობა და შესაძლებლობა გრძელვადიანი მიზნების მართებულად განსასაზღვრად. მიუხედავად ამ ყველაფრისა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში შეინიშნება უზუსტობები, მაგალითად სამიზნე ცნებად ზოგგან შემოთავაზებულია საკომუნიკაციო სიტუაცია და სტრატეგიები, არცერთი მათგანი საშუალო საფეხურის სტანდარტით არ არის მოაზრებული,ამიტომ აუცილებეზია ამ უუზუსტობის გამოსწორება. <u>**სკოლას მიეცა რჩევა**: სახელმწიფო ენის კათედრამ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები აუცილებლად უნდა გამართოს საშუალო საფეხურის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.</u> ფუნქციონალლური უნუარების განვითარებაზე მიუთითებს, ის, რომ საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სავალდებულო პროექტული სწავლება. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტული სწავლების სახით არჩეული ჰქონდა მუსიკა, სკოლას წარმოგდენილი აქვს მტიცებულების სახით, პროექტის მიზანი და მისი აღწერა ასევე ის აქტივობები რაც პროექტის მსვლელობის დროს განხორციელდა, ასევე აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ მომავალ სასწავლო წელს იგივე პროექტს განახორციელებს მუსიკაში, რაც წინა სასწავლო წელს, რადგან სასურველ შედეგზე გავიდნენ პროექტებით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ ამ მიმართულებით, **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას**, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვს ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, ასევე, სთავაზობენ სავალდებულო და არჩევითი ხასიათის დავალებებს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვას სასწავლო პროცესებში. ესთეტიიკური აღზრდის მიმართულებით, საშუალო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყეებითი ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტით სწავლება არჩეული ჰქონდა მუსიკაში, პროექტის მიზანი და აქტივობები სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით, სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ პროექტში მუშაობის დროს მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური და დიფერენცირებული დავალებევბი ხორციელდებოდა ეტაპების დროს.

სკოლა ზრუნავს თითოეული მოსწავლისათვის ისეთი გარემოს შექმნაზე , სადაც მათი ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები იქნება გამოვლენილი. მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე არის მორგებული საგნობრივი კურიკულუმები და ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას.

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასებიის პრინციპები. ეს პრიინნციპები გამომდინარეობს ეროვნული სასწაავლო გეგმიდან. მოსწავლის შეფასება ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააჩნია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი რუბრიკები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. სკოლას მანამდეც ჰქონდა შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, მაგალითად შეიმუშავებდა კონკრეტული საჭიროების შესაბამისად შეიმუშავებდა ანალიტიკურ რუბრიკებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი დანიშნულებით (მაგ, პრეზენტაციის, პროექტის და ა. შ.), აძლევდა მოსწავლეებს განმავითარებელ, ზეპირ კომენტარს და ა. შ. პედაგოგები ახორციელებდნენ შემაჯამებელი დავალებების შეფასებების ანალიზს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განმავითარებელი შეფასება არის ჰოლისტური ხასიათის, მოსწავლე მოიაზრებს როგორც პროცესის მთავარ მონაწილეს, ითვალისწინებს სტანდარტის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს მათზე დაყრდნობით განახორციელოს მოსწავლის მიმართ უკუკავშირი. წარმოდგენილი ნიმუშები ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იყო შემუშავებული .

მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. აღსანიშნავია, რომ მიწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე, ვიზიტის დროს, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მოამზადა და წარმოადგინა საკუთარი ხედვა განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებისა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვის თვალსაზრისით, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სკოლას აქვს მზაობა მიზნობრივად მოამზადოს და გამოიყენოს შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისა და მათი მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ , ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში, გათვალისწინებულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ თემატურ მატრიცებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.

სკოლის საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებიდან ცხადი ხდება, რომ პედაგოგები კათედრებზე ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას (კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით) და ცდილობენ მათ პრაქტიკაში დანერგვას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას არჩეული აქვს დიაგნოსტირების მესამე ინსტრუმენტი, კერძოდ, მოსწავლეთა თვითშეფასება, რომლის საშუალებითაც გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანას სასწავლო სასკოლო კურიკულუმში.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განხორციელებული პროექტის რეფლექსია მუსიკაში.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის პროექტის კურიკულუმის ჩარჩო მუსიკა და სახვით და გამოყენებით ხელოვნება.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებბი (ყველა საგანში)
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხური
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ბუშეტის საჯარო სკოლის ინდ გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლამ განსაზღვრა, რომ წავლების საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. პედაგოგებს მომდევნო სასწავლო წლისთვის არჩეული აქვთ ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეს წარმოსახავს ცენტრალურ სუბიექტად. კომპლექსური დავალების განხორცილების პროცესში მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში, გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით, პრეზენტაციის თუ დისკუსიის სახით. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გამოკვეთეს, რომ აქტივობები, რომლებსაც კომპლექსური დავალებები მოიაზრებს, ეხმარება მათ მოსწავლეებს განივითარონ გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. კომპლექსურ დავალებებზე, მუშაობა ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კურიკულუმებში წარმოდგენილი არის კომპლექსური დავალების იდეები, ისინი ჯერ არ არის სრულყოფილი და უნდა დასრულდეს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

აღსანიშნავია სპორტის მიმართულებით სემუშავებული კურიკულუმი, რომელშიც გაწერილია როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი) და თეორიული (ოლიმპიზმი) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამ მიმართულებით სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს თეორიული საკითხები საშუალო საფეხურის კურიკულუმებში.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

